

**დამტკიცებულია**  
**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის**  
**სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის**  
**წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით**  
(ოქმი N5 30 ოქტომბერი 2015 წ.)

**საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის**  
**დებულება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის(შემდგომში უნივერსიტეტი)საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური (შემდგომში სამსახური) წარმოადგენს უნივერსიტეტის შემადგენელ სტრუქტურულ ერთეულს და უშუალოდ ექვემდებარება უნივერსიტეტის რექტორს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით,უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახური ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, რექტორის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

**მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა**

2.1.სამსახურის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია:

- სამსახურის უფროსი
- მთავარი სპეციალისტი
- უფროსი სპეციალისტი

2.2. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი დადგენილი წესით.

2.3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე

### მუხლი 3. სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი საქმიანობის სფერო და ამოცანაა უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფა, მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა, ელექტრონული სწავლების მეთოდის დანერგვა.

2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო კავშირების გაფართოება; ახალი კონტაქტების დამყარება საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან.

ბ) მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქსელებსა და კავშირებში უნივერსიტეტის და/ან მისი ცალკეული ფაკულტეტების გაწევრიანება.

გ) უნივერსიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და სტუდენტთა პროფესიული დონის ამაღლების მიზნით საერთაშორისო პროექტების, გრანტების, გაცვლითი პროგრამების მოძიება და მოზიდვა.

დ) საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინაცია

ე) საზღვარგარეთ დასაგზავნი დოკუმენტაციისა და ოფიციალური კორესპონდენციის მომზადება.

ვ) უნივერსიტეტში უცხოელი სტუმრებისა და ოფიციალური დელეგაციების მიღების კოორდინაცია, ვიზიტის პროგრამის მომზადება

ზ) უნივერსიტეტის ვებ-გვერდის საინფორმაციო უზრუნველყოფა.

- თ) უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;
- ი) მემორანდუმების, ხელშეკრულებების მომზადება, გაფორმება
- კ) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საქმიანობის კოორდინაცია;
- ლ) უნივერსიტეტის სახელით ოფიციალური მიმოწერის წარმოება;
- მ) უცხოელ სტუდენტთა მომსახურება

3.სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

#### სამსახურის უფროსი:

- ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
- განსაზღვრავს სამსახურის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირებას და პასუხისმგებელია მათ საქმიანობაზე;
- ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწესს, განსაზღვრავს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს უნივერსიტეტს სხვადასხვა ინსტანციებში;
- უზრუნველყოფს სამსახურის მიერ მომზადებული დებულებების, პროგრამებისა და სხვა დოკუმენტაციის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.
- მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ამუშავებს ხელშეკრულებებს საქართველოსა და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან.
- უნივერსიტეტის ოფიციალური მიმოწერის წარმოება და მართვა
- უცხოელი სტუმრებისა და ოფიციალური დელეგაციების

ვიზიტების ორგანიზება

დასკვნითი დებულებები

მუხლი 4.

4.1. სამსახურის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით

4.2. სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

სსიპ – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №

„სსიპ -საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

ქ. თბილისი

5 იანვარი 2018 წ.

„სსიპ -საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბერის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახურის დებულება (დებულება თან ერთვის).
2. საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

